

კონცეფციის ბარათი

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
A. ძირითადი ინფორმაცია		
1. პროექტის დასახელება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია-მოწყობა	
2. პროექტის წარმდგენი მხარჯავი დაწესებულება/უწყება	ქ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	
3. პროექტზე პასუხისმგებელი პირი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი მალხაზი ჩხეიძე	
4. პროექტზე და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური.	
5. სტრუქტურულ ერთეულში პროექტზე პასუხისმგებელი პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი მალხაზი ჩხეიძე	
B. პროექტის არსი და მისი განხორციელების საჭიროების შეფასება		
a. ინტერვენციის ლოგიკა		

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
<p>6. აღწერეთ ის კონკრეტული პრობლემა, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი და განსაზღვრეთ აღნიშნული პრობლემის სიმძიმე.</p>	<p>ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.</p> <p>წყლის სისტემების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ ქვილიშორში არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია სოფ. ქვილიშორში მცხოვრები 200 ოჯახის, 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრობლემატურ ნაწილს</p> <p>აუცილებელია განხორციელდეს დაუყოვნებლივ რადგან სოფელ ქვილიშორში არ არსებობს წყალმომარაგების ქსელი, მოსახლეობა წყლის საჭიროებების დაკმაყოფილებას ახდენს ნაწრეტი წყლის საშუალებით. მოსახლეობის მაღალი რაოდენობიდან გამომდინარე პრობლემა საჭიროებს მოგვარებას, ასევე სოფელი ქვილიშორი არის ტურისტული ზონა სადაც მდებარეობს „პრომეთეს“ მღვიმე, შესაბამისად ტურისტული ლოკაციების ზრდის გამო აუცილებელია წყალმომარაგება. პროექტის განხორციელების მიზანია: მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება.</p> <p>შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე. რაც დამატებით მიზიდულობის არეალს შექმნის, სოფელს დაიცავს დაცლისაგან და გაზრდის სოფლის ეკონომიკურ პოტენციალს.</p>	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
<p>7. განმარტეთ, თუ როგორ მოახერხებს პროექტი განსაზღვრული პრობლემის შემსუბუქებას.</p>	<p>პროექტი ითვალისწინებს სოფელ ქვილიშორში, შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს ბალანსზე არსებული წყლის რეზერვუარზე სატუმბო სადგურის მოწყობას, წყალსადენის ქსელის მშენებლობას და მოსახლეობის გამრიცხველიანებას. პროექტით გათვალისწინებულია 200 ოჯახთან ცენტრალური წყლის მიყვანა მისი გამრიცხველიანობით. ასევე საოჯახო სასტუმროების და რესტორნების წყლით უზრუნველყოფა რომლებიც ამ ლოკაციაზე მდებარეობს. გამომდინარე იქედან რომ შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ არ ახდენს სოფლის ტერიტორიაზე წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციას. გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულია ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექ. დოკუმენტაცია, საჭირო სახსრების არსებობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სამუშაოების ორგანიზებას.</p>	
<p>8. დაასაბუთეთ სახელმწიფო ინტერვენციის საჭიროება, საბაზრო ჩავარდნის ან კაპიტალთან დაკავშირებული პრობლემების განსაზღვრით, რომელთა საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი.</p>	<p>გამომდინარე იქედან რომ პროექტის ღირებულება შეადგენს 2 687 000 ათას ლარს. მუნიციპალიტეტს არ გააჩნია პროექტის განსახორციელებელი თანხები, ამიტომ საჭიროა სახელმწიფო ინვესტიცია. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა. წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, პროექტი გონივრულია და აქვს მყარი სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი.</p>	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
<p>9. ჩამოთვალეთ პრობლემის აღმოფხვრისთვის შემუშავებული ყველა ალტერნატიული გზა, გარკვეული პოლიტიკის გატარების ჩათვლით, რომლებიც არ საჭიროებენ ინვესტიციებს.</p>	<p>➤ შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს ბალანსზე არსებული წყლის რეზერვუარზე სატუმბი სადგურის მოწყობა, რომელიც მოახდენს მოსახლეობისათვის რეგულარული წყლის მიწოდებას და წყლის ქსელის რეაბილიტაცია</p>	
<p>ბ. საჭიროებების შეფასება</p>		
<p>10. განსაზღვრეთ პროექტის განხორციელების შედეგად სარგებელის მიმღები საბოლოო ბენეფიციარების კონკრეტული სამიზნე ჯგუფი.</p>	<p>პროექტის განხორციელების შედეგად სარგებელს მიიღებს შემდეგი სამიზნე ჯგუფები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) სოფელ ქვილიშორში მცხოვრები 200 ოჯახი; პერსპექტივა + 20 ოჯახი; 2) საოჯახო და საშუალო კლასის სასტუმროები 3) ტურისტები; 4) რესტორნები. 	
<p>11. განსაზღვრეთ პროექტით გათვალისწინებული მომსახურების საბოლოო მომხმარებლების დაახლოებითი რაოდენობა, საზომი ერთეულის მითითებით (მაგ: ერთ მოსახლეზე, ერთ ოჯახზე, საწარმოზე).</p>	<p>საბოლოო მომხმარებლები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) სოფელ ქვილიშორში მცხოვრები 200 ოჯახი; პერსპექტივა + 20 ოჯახი; 2) საოჯახო და საშუალო კლასის სასტუმროები 5 ერთეული 3) ტურისტები 4) რესტორნები 	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
<p>12. განსაზღვრეთ პროექტით გათვალისწინებულ მომსახურებაზე არსებული ფიზიკური მოთხოვნა და მისი ზრდის ტემპი, საზომი ერთეულ(ებ)ის მითითებით (მაგ: კუბური მეტრი წყალი დღეში).</p>	<p>მოსახლეობაზე არსებული ზრდის ტემპი: პროექტი ითვალისწინებს ოჯახში 5,5 კაცს (ტურისტების ჩათვლით). იქიდან გამომდინარე, რომ დასახლება მიეკუთვნება ტურისტულ ზონას მოსახლეზე წყალმომარაგების ნორმას ვიღებთ 180 ლ/კაც.დღ.დ. მაშინ საშუალო დღეღამური ხარჯი ტოლი იქნება დაახლოებით 2024/25 - 220 ოჯახზე დაახლოებით - 272.25 - მ³(დღ.დ.); პროექტი გათვალისწინებული მაქსიმუმ 220 ოჯახზე და 5 მოქმედ და მშენებარე საოჯახო და საშუალო ტიპის კლასის სასატუმროზე.</p>	
<p>13. განსაზღვრეთ საპროექტო ობიექტების ფიზიკურისიმძლავრე/გამტარობა, საზომი ერთეულ(ებ)ის მითითებით (მაგ: კუბური მეტრი წყალი დღეში, სატრანსპორტო მოძრაობა დღეში, ან გამოყენებადი სივრცის კვადრატული მეტრი).</p>	<p>$Q_{საშ}=220 \times 5,5 \times 0,18 \times 1,25 = 272,25$ მ³(დღ.დ.) განმარტება: ქვილიშორის დასახლებაში დღეისათვის დაახლოებით 220 საცხოვრებელი სახლია, რომლის წყლით უზრუნველყოფა ხორციელდება წინამდებარე პროექტით. პროექტი ითვალისწინებს ოჯახში 5,5 კაცს (ტურისტების ჩათვლით). იქიდან გამომდინარე, რომ დასახლება მიეკუთვნება ტურისტულ ზონას მოსახლეზე წყალმომარაგების ნორმას ვიღებთ 180 ლ/კაც.დღ.დ. მაშინ საშუალო დღეღამური ხარჯი ტოლი იქნება: $Q_{საშ}=220 \times 5,5 \times 0,18 \times 1,25 = 272,25$ მ³(დღ.დ.) მაქსიმალური დღე-ღამური ხარჯი ტოლია: $Q_{(მაქს.დღ.დ)} = Q_{საშ} \times K_{(მაქს.დღ.დ)}$ $K_{(მაქს.დღ.დ)} = 1.2$ $Q_{(მაქს.დღ.დ)} = 272,25 \times 1,2 = 326,7$ მ³(დღ.დ.) მაქსიმალური საათური ხარჯი ტოლია: $Q_{(მაქს.სთ)} = (Q_{(მაქს.დღ.დ)} \times K_{(სთ)}) / 24$ $K_{სთ} = \alpha_{(მაქს.)} \times \beta_{მაქს} = 1,3 \times 1,6 = 2,08$ $Q_{(მაქს.სთ)} = (326,7 \times 2,08) / 24 = 28,3$ მ³(სთ.) მაქსიმალური წამური ხარჯი ტოლია: $q_{მაქს.წმ} = 28,3 \times 1000 / 36000 = 8$ ლ/წმ</p>	
<p>c. პროექტის არსი</p>		

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
<p>14. აღწერეთ პროექტი და მისი კომპონენტები და განმარტეთ მათი კომპლექსური გადაწყვეტილება.</p>	<p>პროექტი ითვალისწინებს სოფელ ქვილიშორში, ცენტრალური შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს ბალანსზე არსებული წყლის რეზერვუარზე სატუმბო სადგურის მოწყობას, წყალსადენის ქსელის მშენებლობას და მოსახლეობის გამრიცხველიანობას. პროექტით გათვალისწინებულია 200 ოჯახთან ცენტრალური წყლის მიყვანა მისი გამრიცხველიანობით. ასევე საოჯახო სასატუმროებს და რესტორნებს რომლებიც ამ ლოკაციაზე მდებარეობს. სატუმბო სადგურში გათვალისწინებული იქნება ერთი მუშა და ერთი სათადარიგო ტუმბოს მოწყობა, პროექტი ითვალისწინებს ცენტრალიზირებული წყალსადენის სისტემის მოწყობას მოსახლეობის ჩართვით ქსელში 5005 გ.მ. სხვადასხვა დიამეტრის მილების მოხმარებით, მათ შორის ცენტრალურ მაგისტრალზე 160 მმ პოლიეთილენის მილების ჩალაგება 7985 გ.მ.-ზე.</p> <p>პროექტის კომპონენტებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) მოსახლეობის ჩართვა ცენტრალიზირებული წყლის მიწოდების სისტემაში; 2) სასატუმროების ჩართვა ცენტრალიზირებული წყლის მიწოდების სისტემაში; 3) საოჯახო ტიპის სასატუმროების უწყვეტი წყალმომარაგება; 4) გამრიცხველიანების სისტემის შექმნა; 5) ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყლის მიწოდება მომხმარებლისთვის; 6) ტურისტული მომსახურების გაუმჯობესება. <p><i>პროექტის განხორციელების ვადა არის დაწყებიდან 6 თვე.</i></p>	
<p>C. პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობა</p>		

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
<p>15. აღნიშნეთ სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნებთან პროექტის შესაბამისობა და მისი წვლილი ეკონომიკური ერთეულის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში.</p>	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტი თვითმმართველი ერთეულია იმერეთის მხარეში. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია პრიორიტეტები და პროგრამები, რომელიც ასახავს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.</p> <p>მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება კვლავ ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, 2024-2027 წლებში მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტი იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.</p>	
D. პროექტის ეკონომიკური მნიშვნელობის წინასწარი შეფასება და ალტერნატივების ანალიზი		
a. პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები		
<p>16. მიუთითეთ პროექტის და შესაბამისი ალტერნატიული ვარიანტების განხორციელებისთვის საერთო ინდიკაციური სავარაუდო ხარჯები მიმდინარე ფასებში. აღნიშნეთ ნებისმიერი დაგეგმილი გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიება. აღწერეთ ხარჯთაღრიცხვების შემუშავების საფუძველი.</p>	<p>ჩატარდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები, საპროექტო ღირებულებამ შეადგინა 2 687 000 ლარი. აღნიშნულ პროექტზე საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა განაპირობა მოსახლეობის მომართვიანობამ.</p>	
<p>17. განსაზღვრეთ პროექტის შეფასების ეტაპისთვის საჭირო შემდგომი კვლევების სავარაუდო ხარჯები.</p>	<p>შეფასების ეტაპისთვის შემდგომ კვლევებზე ხარჯები გაწეული არ იქნება</p>	
b. პროექტის სარგებელი		
<p>18. განსაზღვრეთ პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი აქტივების მომხმარებლების ძირითადი სარგებელი.</p>	<p>პროექტი ხელს შეუწყობს სოფელ ქვილიშორში საცხოვრებელი და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, გაუმჯობესდება ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობა, მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება სუფთა სასმელი წყლით. მოხდება მოსახლეობის 24 საათიანი წყლის მომარაობა.</p>	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
<p>19. განსაზღვრეთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი გარე ფაქტორები, ანუ ხარჯები და სარგებელი არა მომხმარებელი ერთეულებისთვის.</p>	<p>სარგებელი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) გარემოს ჯანმრთელობის ეფექტური სისტემის ხელშეწყობა; 2) ჯანდაცვის მხრივ არსებული ვითარების გაუმჯობესება მოსახლეობის საკეთილდღეოდ; 3) ეს სოციალური პროექტია და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ემსახურება, <u>ასევე უნდა ითქვას რომ თითქმის მთელ საქართველოში წყლის მიწოდება მომგებიანი არ არის</u> 	
<p>20. განმარტეთ ალტერნატივებს შორის სარგებელის მხრივ ნებისმიერი მნიშვნელოვანი განსხვავება.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1) არაფრის კეთება- არანაირ სარგებელს არ მოუტანს ქვილიშორის დასახლებაში მცხოვრებ 220 ოჯახს. 2) ახალი სატუმბო სადგურის მშენებლობა - ახალი სატუმბო სადგურის მშენებლობა აკმაყოფილებს ქვილიშორის დასახლებაში მცხოვრებ 220+ ოჯახს. 3) ახალი მცირე ზომის სატუმბო სადგურის მშენებლობა - ვერ დააკმაყოფილებს სრულად ქვილიშორის დასახლებაში მცხოვრებ ოჯახებს. 	
<p>21. განსაზღვრეთ ძირითადი სარგებელი და ხარჯები, რომელთა შეფასება შესაძლებელია მოცემულ ეტაპზე, არამატერიალური სარგებელისა და დადებითი და უარყოფითი გარე ფაქტორების ჩათვლით. განსაზღვრეთ პროექტის რთულად შესაფასებელი დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებები.</p>	<p>სარგებელი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) გარემოს ჯანმრთელობის ეფექტური სისტემის ხელშეწყობა; 2) ჯანდაცვის მხრივ არსებული ვითარების გაუმჯობესება მოსახლეობის საკეთილდღეოდ; <p>აგრეთვე შემდგომ წლებშიც ივარაუდება ზრდა.:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ტურისტების წლიური 0.8%-იანი ზრდა; 2) ბიზნესინფრასტრუქტურის 8% ზრდა; - როგორც არის საშუალო კლასის სასტუმროების მშენებლობა იგეგმება სამი, ხოლო მომავალ წელს დაემატება სავარაუდოდ ერთი; <p>აგრეთვე საოჯახო ტიპის სასტუმროები, რომლებსაც მოდევნო წლებში დაემატება 5 საოჯახო ტიპის სასტუმრო, უნდა ითქვას რომ სასტუმროების მთლიანი დატვირთვა მოდის ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით (90 დღე)</p>	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
c. ეკონომიკური ეფექტიანობა		
<p>22. წარმოადგინეთ სავარაუდო საინვესტიციო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა ერთ მომხმარებელზე ან საინვესტიციო ხარჯი საბოლოო მომსახურებაზე მოთხოვნის ერთ ერთეულზე.</p>	<p>პროექტის განხორციელებისათვის დაიხარჯება 2 678 000 ლარი. ობიექტი 25 წლის განმავლობაში მოემსახურება 220 ოჯახს წელიწადში. ხარჯი მოთხოვნის ერთეულზე: $267800 / 200 / 25 = 535,6$ ლარი</p>	
<p>23. აღნიშნული ხარჯები შეადარეთ ალტერნატივების და სხვა უკვე დასრულებული მსგავსი პროექტების ხარჯებს.</p>	<p>დასრულებული მსგავსი ტიპის ობიექტი მუნიციპალიტეტში არ არის.</p>	
<p>24. განმარტეთ, თუ რა მიზეზით ღირს მოცემულ პროექტზე სახელმწიფო ხარჯის გაღება, მის ალტერნატივებთან შედარებით (არაქმედების ალტერნატივის ჩათვლით), ხარჯებისა და პოტენციური სარგებელის შესახებ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით. განსაზღვრეთ პერსპექტიული ალტერნატივები.</p>	<p>ამჟამად სოფელი ქვილიშორი მარაგდება ბუნებრივი წყაროებიდან მოპოვებული წყლით, რომელიც ზაფხულის დადგომასთან ერთად შრება, ასევე იყენებენ მდინარის წყალს ტექნიკური მოხმარებისთვის და ნაწრეტ წყალს ხოლო ამ პროექტის განხორციელებით ეს პრობლემები გადაწყდება, როგორც მოსახლეობასთან დაკავშირებით ასევე ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმით.</p>	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
<p>25. აღწერეთ პროექტის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ზემოქმედების მოსალოდნელი მნიშვნელოვანი რისკები და ვარაუდები. განსაზღვრეთ პროექტის დაგეგმარების დროს გასათვალისწინებელი ნებისმიერი შემარბილებელი ღონისძიება.</p>	<p>რისკები: 1) პროექტის ღირებულების ცვლილება; 2) უხარისხო მშენებლობა; 3) გამოყენებული მასალის ხარისხი; 4) მშენებლობის ვადების გაჭიანურება (ტენდერის პროცედურები, კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა); 5) მშენებლობის პერიოდში ბუნებრივი საფრთხის რისკები (სტიქია); რისკების პრევენცია: 1) მასალის შეძენის დროს გასათვალისწინებელია საერთაშორისო სტანდარტები; 2) კონტროლის გამკაცრება; 3) ზედამხედველი ორგანიზაციის ხშირი მონიტორინგი მშენებლობასთან დაკავშირებით; 4) სამშენებლო პროცესის სწორი დაგეგმვა; 5) სტიქიური მოვლენების ასაცილებლად პროცედურების შესაბამისად დროული, ადექვატური და კვალიფიციური რეაგირება</p>	
E. გავლენა ბიუჯეტზე და ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა		
<p>26. ასახეთ განხორციელებისა და ოპერირების განმავლობაში პროექტის მოსალოდნელი ბიუჯეტზე ზემოქმედება.</p>	<p>პროექტი ითვალისწინებს ხარჯებს, როგორც საინვესტიციო პერიოდში, ასევე საოპერაციო ეტაპზე. პროექტის განხორციელების შედეგად აშენებული ინფრასტრუქტურა გადაეცემა შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს შემდგომი ექსპლუატაციისათვის, გამრიცხვენილების შემდეგ მომხმარებლებისაგან მოზიდული თანხებით უზრუნველყოფს არსებული ქსელის მოვლა შენახვას. გამომდინარე აქედან ადგილობრივ ბიუჯეტის ფინანსურ რესურსებზე ზემოქმედებას არ მოახდენს.</p>	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
<p>27. განსაზღვრეთ საბიუჯეტო დაფინანსების გარდა სხვა მოსალოდნელი დაფინანსების წყაროები და მათი სავარაუდო წილი. აღწერეთ დამატებითი დაფინანსების წყაროების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო ქმედებები და გადაწყვეტილებები და მიუთითეთ მათი განხორციელების ვადები.</p>	<p>პროექტის განხორციელებისათვის საბიუჯეტო დაფინანსების გარდა მშენებლობის პროექტი დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეტაპობრივად. აღნიშნული პროექტის დაფინანსება განხორციელდება 95% იანი სახელმწიფო წილით, 5% ადგილობრივი ბიუჯეტით. პროექტი მოწონებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სამხარეო ადმინისტრაციაში, საკონსულტაციო ჯგუფის მიერ. პროექტის დაფინანსების მისაღებად მუნიციპალიტეტის მიერ გადაგზავნილია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 2024 წლის ბიუჯეტით დაფინანსებასთან დაკავშირებით.</p>	
<p>28. ადგილობრივი მთავრობის ან თვითდაფინანსებაზე მყოფი საჯარო დაწესებულებებისგან დაფინანსების მიღების შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყავით მათ მიერ განხორციელებული ასიგნების საკმარისობის / შესატყვისობის დამადასტურებელი არგუმენტები.</p>	<p>მოსალოდნელი არ არის ადგილობრივი მთავრობის ან თვითდაფინანსებაზე მყოფი საჯარო დაწესებულებებისგან დაფინანსების მიღების შესაძლებლობა</p>	
F. განხორციელება		
<p>29. განსაზღვრეთ შესყიდვებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელი საკითხები.</p>	<p>შესყიდვებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას სახელმძღვანელოდ გამოყენებული იქნება საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.</p>	
<p>30. აღწერეთ პროექტის ის მახასიათებლები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის შერჩევა.*</p>	<p>პროექტის განხორციელება არ იგეგმება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის მიხედვით.</p>	
b. განხორციელების ღონისძიებები და შესაძლო შეზღუდვები		
<p>31. შეაჯამეთ პროექტის განხორციელების ზედამხედველობის და/ან მართვისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები.</p>	<p>პროექტის სათანადო განხორციელებაზე იზრუნებს ქ.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, ტექნიკურ მონიტორინგს განახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახური ხოლო ზედამხედველობას განახორციელებს დაქირავებული ტექნიკური ზედამხედველი.</p>	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
<p>32. უზრუნველყავით მტკიცებულება იმისა, რომ პროექტის განხორციელების ზედამხედველობასა და მართვაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას საკმარისი რესურსი გააჩნია შემოთავაზებული პროექტის მასშტაბის და ტიპის პროექტების განსახორციელებლად, ან მიუთითეთ თუ რა დამატებითი ზომები არის მისაღები</p>	<p>მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების მიერ განხორციელებული პროექტები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონში სასმელი წყლის მაგისტრალის ქსელი და რეზერუარის მოწყობის სამუშაოები. 2) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმასტაროში სასმელი წყლის ქსელის, ჭაბურღილის და სადაწნეო 120 ტონიანი რეზერუარის მოწყობის სამუშაოები 	
<p>33. განსაზღვრეთ ნებისმიერი პოტენციური გადასალახი დაბრკოლება, მაგალითად, გარემოსდაცვითი შეზღუდვები ან მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული შეზღუდვები, ან დამატებითი ღონისძიებები, საკანონმდებლო ცვლილებების ჩათვლით, რომლებიც გადაჭრილ უნდა იქნეს პროექტის წარმატებით</p>	<p>მშენებლობის პროცესში არსებული ვითარებიდან გამომდინარე პოტენციური გადასალახი დაბრკოლებები არ არის მოსალოდნელი.</p>	
G. მდგრადი განვითარების საკითხები		
<p>34. განსაზღვრეთ პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი აქტივის მფლობელი ორგანიზაცია.</p>	<p>შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“</p>	
<p>35. დაადასტურეთ, რომ აქტივის ოპერირებასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას საკმარისი ტექნიკური, მენეჯერული და ფინანსური რესურსი აქვს. იმ შემთხვევაში, თუ ეს ასე არ არის, მაშინ განსაზღვრეთ საკმარისი რესურსების მოსაპოვებლად საჭირო ზომები.</p>	<p>დამატებითი რესურსის მოძიება საჭირო არ არის, რადგანაც როგორც პროექტის ოპერირებასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას საკმარისი ტექნიკური, მენეჯერული და ფინანსური რესურსი აქვს.</p>	
<p>36. აღწერეთ, თუ როგორ მოხდება საექსპლუატაციო და სარემონტო ხარჯების დაფარვა პროექტის დასრულების შემდეგ, გადასახადის მომხმარებელზე დაკისრების ან მომაჭიბის ჩათვლით.</p>	<p>ქსელში ჩართვის შემდგომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დახარჯული წყლის თანხის ამოღებას და მის მომსახურებას აწარმოებს შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ .</p>	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
37. მოკლედ აღწერეთ ნებისმიერი პოტენციურად მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე, რომელიც საჭიროებს დამატებით კვლევებს და განსაზღვრეთ შესაძლო შემარბილებელი ღონისძიებები	არ საჭიროებს პოტენციური ზემოქმედების დამატებით კვლევებს	
38. მოკლედ აღწერეთ ნებისმიერი პოტენციურად მნიშვნელოვანი სოციალური ზემოქმედება, რომელიც საჭიროებს დამატებით კვლევებს, განსაკუთრებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ხარჯებისა და სარგებელის გამოყოფასთან დაკავშირებული ზემოქმედებები და განსაზღვრეთ შესაძლო შემარბილებელი ღონისძიებები	არ საჭიროებს პოტენციური სოციალური ზემოქმედების დამატებით კვლევებს.	
H. შემდგომი კვლევებისა და კონსულტაციებისადმი მიდგომა		
39. განსაზღვრეთ, რომელი ალტერნატივები გადავა პროექტის შეფასების ეტაპზე და რომელი ალტერნატივები გამოირიცხება წინასწარი შერჩევის შედეგად, ეკონომიკური ეფექტიანობისა და ფინანსურად ხიომისაწვდომობის საკითხების ჩათვლით	სიცოცხლისუნარიანობისა და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით რეკომენდირებულია შეფასების ეტაპზე გადავიდეს შემდეგი ალტერნატივა: ➤ წყლის მიმღები ახალი რეზერუარის მშენებლობა	
40. ჩამოთვალეთ შეფასების ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო დამატებითი კვლევები. იმ შემთხვევაში, თუ შერჩეული ალტერნატივების ჩამონათვალის შემცირების მიზნით აუცილებელია პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა#, ახსენით მიზიზი.	ალტერნატივების ჩამონათვალის შემცირების მიზნით, დამატებითი კვლევების განხორციელება არ არის საჭირო	
41. განსაზღვრეთ ნებისმიერი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს შემდეგი კვლევების დროს, მსგავსი პროექტების ექს-პოსტ კვლევების შედეგად მიღებული შედეგების ჩათვლით.	სამუშაოს განხორციელების, მშენებლობის ხარისხის შემოწმებისა და ხარჯ-ეფექტურობის შეფასების კვლევები	

საჭირო ინფორმაცია	პასუხი	მტკიცებულებათა წყარო დამატებითი კომენტარები
<p>42. დაადასტურეთ სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების საჭიროება და განსაზღვრეთ გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები.</p>	<p>მოსალოდნელი არ არის სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების საჭიროება</p>	
<p>43. განსაზღვრეთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესრულების სამართლებრივი საფუძველი. მსგავსი საფუძველის არარსებობის შემთხვევაში, განსაზღვრეთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი უარყოფითი ან დადებითი ეკოლოგიური ეფექტი, რომელიც მიუხედავად სამართლებრივი საფუძველის არარსებობისა, შესაძლოა საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. მოკლედ ჩამოთვალეთ გარემოზე ძირითადი ზემოქმედებები, რომლებიც გასათვალისწინებელი უნდა იქნას შეფასებისას.</p>	<p>აღნიშნული პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს გარემოზე ზემოქმედებას, შესაბამისად არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას</p>	
<p>44. განსაზღვრეთ კვლევების განხორციელებისთვის და შეფასების ეტაპზე გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ნებისმიერი სახის, ფორმალური თუ არაფორმალური კონსულტაცია.</p>	<p>საჭიროებისამებრ, შესაძლოა განხორციელდეს შესაბამის ექსპერტებთან და პროექტი იქნება შეთანხმებული შპს,, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-სთან.</p>	